საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1045 2016 წლის 9 ივნისი ქ. თბილისი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - შოთა რუსთაველის ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, განახორციელოს ქიმიის 48-ე საერთაშორისო ოლიმპიადასთან დაკავშირებული ღონისძიების ორგანიზებისათვის აუცილებელი საქონლისა და მომსახურების (კომპიუტერული მოწყობილობები და აქსესუარები, საოფისე მანქანა-დანადგარები, აღჭურვილობა და საკანცელარიო ნივთები, კომპიუტერების, პრინტერებისა და ავეჯის გარდა, პირადი ჰიგიენის

საშუალებები, სხვადასხვა კომერციული მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები, ფარმაცევტული პროდუქტები) შესყიდვა.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**